ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 4

ქ. ლანჩხუთი

25.05.2022
15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, გოჩა ჯანაშია, კარლო კვიტაიშვილი,

მოწვეული: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, გაზეთ ,,ლანჩხუთის მოამბის"ჟურნალისტი, საქართველოს შსს-ს დამსახურებული მუშაკი ნინო (ლალი) ლომაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: ვლადიმერ ნანაძე, ალექსანდრე მახათაძე, კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.გაზეთ ,,ლანჩხუთის მოამბის", საქართველოს შსს-ს დამსახურებული მუშაკის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ქალბატონ ნინო (ლალი) ლომაძის წერილის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 5; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: გაზეთ ,,ლანჩხუთის მოამბის", საქართველოს შსს-ს დამსახურებული მუშაკის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ქალბატონ ნინო

(ლალი) ლომაძის წერილი კომისიას გააცნო ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. წერილში აღნიშნულია, რომ ლანჩხუთის რაიონის შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ, 1945 წელს დაბადებულს, ინდ. მეწარმე მარინა ორაგველიძესა და ლანჩხუთის რაიონის ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ, 1953 წელს დაბადებულს, ინდ. მეწარმე ციალა ლომაძეს იჯარით აქვს აღებული ფართი ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N126-ში. მოქალაქე მარინა ორაგველიძეს, რომელიც კოსმეტოლოგია პირველ სართულზე 16კვ.მ, ხოლო მოქალაქე ციალა ლომაძეს პროფესიით მკერავ-დიზაინერს, ასევე პირველ სართულზე 13.კვ.მ. ქვეყანაში კოვიდით გამოწვეული მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, ზემოთ დასახელებული პირები ვერ ახერხებდნენ პროფესიულ საქმიანობას. ამას კიდევ ისიც ემატებოდა, რომ სრულიად საქართველოს მსგავსად, კანონით აკრძალული იყო კოსმეტოლოგიურ-სალონური კაბინეტების, სამკერვალო ატელიეების და სხვა მსგავსი დაწესებულებების ფუნქციონირება. ზემოთ დასახელებულმა პირებმა პანდემიის პერიოდში ვერ შეძლეს იჯარის ყოველთვიური გადასახადის გადახდა. არსებული ინფორმაციით დედაქალაქში ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ინდ. მეწარმეები გათავისუფლებული იქნა იჯარის ყოველთვიური გადასახადისაგან და მათთვის გაუგებარია რატომ არ ვრცელდება მსგავსი შეღავათები რეგიონებში? წერილში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული პრეცედენტი სამართლიან გულისწყომას იწვევს მოსახლეობაში და მოითხოვენ ადგილობრივ საქმიანი წრეების წარმომადგენლებზეც გავრცელდეს ის შეღავათები, რომლითაც დედაქლაქის ინდ. მეწარმეები სარგებლობენ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ განმარტა, რომ კორონავირუსთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მერიამ გაავრცელა შეღავათები იჯარით გაცემული აქტივების საიჯარო ქირის გადასახადზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა მუნიციპალიტეტებშიც გამოითქვა სურვილი დაწესდეს შეღავათები იჯარით გადასახადზე. ვინაიდან მუნიციპალიტეტებს (გარდა თბილისისა) სარგებლობის უფლებით გაცემულ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ფინანსური ვალდებულებისგან გათავისუფლების უფლება არ აქვთ, მათ შეუძლიათ მოახდინონ გადასახდელი თანხის გადავადება.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტებს (გარდა თბილისისა) სარგებლობის უფლებით გაცემულ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ფინანსური ვალდებულებისგან გათავისუფლების უფლება არ აქვთ, ამ ეტაპზე ზემოთ ხსენებულ ინდ. მეწარმეებზე მოხდეს გადასახდელი თანხის გადავადება 2024 წლის ბოლომდე. კომისიას ასევე მართებულად მიაჩნია, რომ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის უწყებებში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ გაგზავნილი იქნას წერილი შემდგომი მსვლელობის განხორციელების მიზნით.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №4

25.05.2022 წელი
15.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 მაისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.გაზეთ,,ლანჩხუთის მოამბის", საქართველოს შსს-ს დამსახურებული მუშაკის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ქალბატონ ნინო (ლალი) ლომაძის წერილის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: გაზეთ ,,ლანჩხუთის მოამბის", საქართველოს შსს-ს დამსახურებული მუშაკის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ქალბატონ ნინო (ლალი) ლომაძის წერილთან დაკავშირებით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ვინაიდან მუნიციპალიტეტებს (გარდა თბილისისა) სარგებლობის უფლებით გაცემულ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ფინანსური ვალდებულებისგან გათავისუფლების უფლება არ აქვთ, ამ ეტაპზე ზემოთ ხსენებულ ინდ. მეწარმეებზე მოხდეს გადასახდელი თანხის გადავადება 2024 წლის ბოლომდე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ზ. წულაძე ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.05. 2022 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	15⁰⁰	
2	ალექსანდრე მახათაძე	არ ესწრებოდა	
3	კარლო კვიტაიშვილი	15⁰⁰	
4	გიორგი იმნაიშვილი	15.	
5	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
6	გიორგი ჩახვაძე	15⁰⁰	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	15²⁰	